გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 1554 (2004)</u>**

2004 წლის 29 ივლისი

უშიშროების საბჭო,

მიუთითებს რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ 2004 წლის 30 იანვრის რეზოლუციას 1524 (2004),

მიესალმება რა 2004 წლის 14 ივლისის გენერალური მდივნის მოხსენება (S/2004/26),

მიუთითებს რა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) უმაღლესი დონის ლისაბონის (S/1997/57, დანართი) და სტამბოლის შეხვედრების დასკვნებს, რომელნიც ეხება ვითარებას აფხაზეთში, საქართველო,

მიუთითებს რა 1994 წლის 9 დეკემბერს მიღებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის და მასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოების კონვენციაში არსებულ შესაბამის პრინციპებს,

გამოხატავს რა წუხილს იმის გამო, რომ იმ პირთა ვინაობა, ვინც 2001 წლის 8 ოქტომბერს ჩამოაგდო საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენი, რის შედეგადაც დაიღუპა ბორტზე მყოფი ცხრა ადამიანი, ჯერ კიდევ დადგენილი არაა,

ხაზს უსვამს რა, რომ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო საკითხებზე პროგრესის არარსებობის შენარჩუნება, მიუღებელია,

მიესალმება რა, ამასთან ერთად, იმ დადებით იმპულსს, რომელიც შესძინეს მშვიდობიან პროცესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მეგობართა ჯგუფის ორმა თათბირმა მაღალ დონეზეჟენევაში და საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შემდგომმა შეხვედრამ სოჭში,

მიესალმება რა აგრეთვე მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც შეიტანეს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა (დსთ სამშვიდობო ძალებმა) და ხაზს უსვამენა, თავიანთ რთგულებას მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისადმი მათი შესაბამისი მანდატების აღსრულებაში,

1. კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოს ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისადმი და ამ პრინციპების მკაცრი შესაბამისობით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას;

2. მაღალ შეფასებას აძლევს და მტკიცედ უჭერს მხარს უწყვეტ ძალისხმევას, რომელსაც ახორციელებენ გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი, რუსეთის ფედერაცია როგორც ხელშემწყობი მხარე, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფი და ეუთო სიტუაციის შემდგომი სტაბილიზაციის და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით, რომელიც უნდა შეიცავდეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე საკითხის მოგვარებას;

3. კვლავ აცხადებს თავის მტკიცე მხარდაჭერას დოკუმენტისადმი სათაურით @თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები@ და მისი თანმხლები წერილისადმი,რომელნიც საბოლოოდ იქნენ შეთანხმებულნი მეგობართა ჯგუფის ყველა წევრის მიერ და მათი სრული მხარდაჭერის პირობებში;

4. გამოხატავს ღრმა სინანულს, აფხაზური მხარის მუდმივი უარის გამო დათანხმდეს ამ დოკუმენტის არსის განხილვას, კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი და მისი თანმხლები წერილი, დაბეჯითებით მოუწოდებს ორივე მხარეს ჩაატაროს ამის შემდეგ მათი სრული და ღია განხილვა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს მათი არსის შესახებ და დაბეჯითებით მოუწოდებს მათ, ვისაც გააჩნია გავლენა მხარეებზე, ხელი შეუწყონ ამგვარ შედეგს;

5. გამოხატავს სინანულს პოლიტიკური სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებათა დაწყების საქმეში პროგრესის არარსებობის გამო და კვლავ შეახსენებს იმას, რომ ამ დოკუმენტების მიზანს შეადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მხარეებს შორის საგნობრივი

მოლაპარაკებების ჩატარებისათვის ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის თაობაზე და არა იმაში, რომ ეცადოს თავს მოახვიოს ან უკარნახოს მხარეებს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება;

6. მოუწოდებს მხარეებს მოახმარონ მთელი ძალები არსებული ურთიერთუნდობლობის დასძლევად და ხაზს უსვამს, რომ მოლაპარაკებების პროცესი, რომელსაც მიჰყავს ორივე მხარისათვის მისაღებ მტკიცე პოლიტიკურ მოწესრიგებამდე, ორივე მხარისაგან გარკვეულ დათმობებს მოითხოვს;

7. მიესალმება ქართული მხარის ერთგულებას კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისადმი და შემდეგ მოუწოდებს ორივე მხარეს ღიად განაცხადონ თავანთი უარი საომარ რიტორიკაზე და სამხედრო ვარიანტების მხარდამჭერ გამოსვლებზე;

8. შეახსენებს ყველა დაინტერესებულ მხარეს თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მშვიდობიან პროცესს;

9. მიესალმება მეგობართა ჯგუფისა და გაეროს უფროსი წარმომადგენლების რეგულარულ თათბირებს ჟენევაში და გამოხატავს რა წუხილს იმის გამო, რომ ბოლო თათბირზე აფხაზურმა მხარემ არ მიიღო მონაწილეობა, იმედით ელოდება მომავალ თათბირებზე მხარეთა კონსტრუქციულ მონაწილეობას;

10. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს უფრო აქტიური, რეგულარული და ორგანიზებული მონაწილეობისაკენ მიზნობრივ ჯგუფებში, რომლებიც შეიქმნა ჟენევის პირველ თათბირზე (ეკონომიკური თანამშრომლობის, ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების პრიორიტეტულ სფეროებში საკითხის განხილვისათვის, აგრეთვ, პოლიტიკური საკითხები და უსაფრთხოების საკითხები) და 2003 წლის მარტში სოჭში შექმნილი სამუშაო ჯგუფებით დამატებული და ხაზს უსვამს, რომ ამ სამი პრიორიტეტული მიზნისაკენ კონკრეტული შედეგების მიღწევაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს კვლავ საკვანძო მნიშვნელობა აქვს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ურთიერთგაგების მისაღწევად და, საბოლოო ჯამში, ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე საგნობრივი მოლაპარაკებების გასამართავად დოკუმენტის საფუძველზე სახელწოდებით "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯნვის ძირითადი პრინციპები" და ამ დოკუმენტის თანმხლები წერილის საფუძველზე;

11. რეკომენდაციას აძლევს მხარეებს ამასთან დაკავშირებით გააგრძელონ უსაფრთხოების გარანტიების საკითხების განხილვა და მიესალმება 20 მაისს სოხუმში ამ საკითხთან დაკავშირებით სხდომის გამართვას;

12. კვლავ მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ მშვიდობიანი პროცესის აუცილებელი გამოცოცხლება მის ყველა ძირითად ასპექტში, განაახლონ თავიანთი მუშაობა საკოორდინაციო საბჭოში და მის შესაბამის მექანიზმებში, განამტკიცონ შედეგები, მიღწეული ნდობის განმტკიცების ზომების თაობაზე 2001 წლის მარტში იალტაში ჩატარებულ შეხვედრაზე (შ/2001/242), და მიზანმიმართულად და თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელონ მაშინ შეთანხმებული წინადადებანი და განიხილონ ნდობის განმტკიცების ზომების თაობაზე მეოთხე კონფერენციის ჩატარების შესაძლებლობა;

13. ხაზს უსვამს ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა საკითხის გადაწყვეტაში პროგრესის მიღწევის გადაუდებელ აუცილებლობას, მოუწოდებს ორივე მხარეს აჩვენონ ჭეშმარიტი ერთგულება იმით, რომ დაბრუნებისათვის საგანგებო ყურადღება დაუთმონ დაბრუნების პრობლემას და გადაწყვიტონ ეს ამოცანა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიასთან მჭიდრო კოორდინაციით და კონსულტაციით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოსთან და მეგობართა ჯგუფთან;

14. მოუწოდებს გაეროს მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ შემოთავაზებულ დაბრუნების პრობლემაზე განზრახვების წერილის უსწრაფეს და საბოლოო შეთანხმებას და მასზე ხელმოწერას, აგრეთვე მიესალმება ლტოლვილთა და შიგნით ადგილნაცვალ პირთა პრობლემებზე სოჭის სამუშაო ჯგუფის ბოლო თათბირს, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლისა და ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მონაწილეობით;

15. კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობას, კვლავ ადასტურებს აგრეთვე ყველა იმ ლტოლვილის და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირის,

რომელსაც შეეხო კონფლიქტი, განუყოფელ უფლებას დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში საერთაშორისო სამართლის და 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების (S/1994/397, დანართი I I) დებულებების და იალტის დეკლარაციის შესაბამისად;

16. შეახსენებს, რომ აფხაზურ მხარეს ეკისრება საგანგებო პასუხისმგებლობა დაბრუნებულთა დაცვისათვის და იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დარჩენილი გადაადგილებულ მოსახლეობის დაბრუნებას;

17. მიესალმება გალის რაიონში (2003 წლის დეკემბერი) მისიის მოხსენებას, რომელსაც ხელმძღვანელობს გაეროს განვითარების პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობისა და პოტენციურ დამბრუნებელთათვის მდგრადი აღდგენითი პროცესის მოწყობის შესაძლებლობათა შეფასებისათვის და უშიშროების მიმართულებით საერთო სიტუაციის გასაუმჯობესებლად და მდგრადი დაბრუნების პროცესის მოწყობის უზრუნველსაყოფად შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრისათვის და ელოდება მხარეებთან გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს დამკვირვებელთა მისიის შემდგომ კონსულტაციებს მათი რეკომენდაციების შესრულების მიზნით;

18. კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს შეასრულონ გალის სექტორის ერთობლივი მისიის შეფასების (2000 წლის ნოემბერი) რეკომენდაციები, გამოხატავს წუხილს, ჟენევის პირველ შეხვედრაზე მხარეების მიერ ამ რეკომენდაციათა დადებითად განხილვის მიუხედავად, ამ თვალსაზრისით პროგრესის არ არსებობის გამო და კვლავ მოუწოდებს აფხაზურ მხარეს დათანხმდეს სოხუმში ადამიანის უფლებების გალის ბიუროს განყოფილების რაც შეიძლება სწრაფად გახსნას და უზრუნველყოს უსაფრთხოების გარანტიები მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონირებისათვის;

19. გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ მიუხედავად გაეროს დამკვირვებელთა მისიის შემადგენლობაში სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის განლაგების დაწყებისა, როგორც იყო ეს მოწონებული 1494 (2003) რეზოლუციაში და შეთანხმებული მხარეების მიერ, სამოქალაქო პოლიციის დანარჩენი თანამშრომლების განლაგება გალის სექტორში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და მოუწოდებს აფხაზურ მხარეს მისცეს თანხმობა სამოქალაქო პოლიციის კომპონენტების ამ რაიონში სწრაფი განლაგებისათვის;

20. მოუწოდებს, კერძოდ, აფხაზურ მხარეს, გააუმჯობესოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა ადგილობრივი მოსახლეობის მოზიდვით და იმუშაონ პრობლემის გადაწყვეტაზე, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა მოკლებულია მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალებას;

21. მიესალმება ქართული მხარის მიერ გატარებულ ღონისძიებებს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა მოღვაწეობისათვის ბოლოს მოღების მიზნით და მოუწოდებს გააგრძელოს ამ ძალისხმევების განხორციელება;

22. გმობს ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების თაობაზე 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების დებულების ნებისმიერ დარღვევას (S/1994/583, დანართი I);

23. მიესალმება კოდორის ხეობაში შედარებითი სიმშვიდის შენარჩუნებას, გმობს სამოქალაქო პირთა მკვლელობებსა და მოტაცებებს, აგრეთვე გალის სექტორში დსთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე თავდასხმას;

24. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს მკაცრად დაიცვან გალის სექტორში უსაფრთხოების საკითხებზე 2004 წლის 19 იანვარსა და 2003 წლის 8 ოქტომბერს ხელმოწერილი ოქმების დებულებები, გააგრძელონ ერთმანეთთან რეგულარული თათბირები და უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან უსაფრთხოების თვალსაზრისით სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით ამ სექტორში;

25. მოუწოდებს ქართულ მხარეს წარმოადგინოს უსაფრთხოების ყოვლისმომცველი გარანტიები, რათა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიისა და დსთ სამშვიდობო ძალების ერთობლივმა პატრულებმა შეძლონ სიტუაციის დამოუკიდებელი და რეგულარული კონტროლი კოდორის ხეობის ზემოთა ნაწილში;

26. ხაზს უსვამს, რომ ორივე მხარეს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის, დსთ სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის სათანადო უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების

უზრუნველყოფისათვის, გადაჭრით გმობს ამ მისიების თანამშრომელთა არაერთგზის გატაცებებს, გამოთქვამს ღრმა წუხილს, რომ ვერ მოხერხდა ამ აქტების ჩამდენთა პიროვნების დადგენა და პასუხისგებაში მიცემა, კვლავ აცხადებს, რომ თავად მხარეები თვითონ არიან პასუხისმგებლები, რათა ბოლო მოეღოს ამ უკანონობას;

27. კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმ პირთა დასადგენად, ვისაც 2001 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენიის ჩამოგდებაზე ეკისრება პასუხისმგებლობა, გადასცენ ისინი მართლმსაჯულებას და გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობონ სპეციალურ წარმომადგენელს;

28. ადგენს გაგრძელდეს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატი შემდეგი პერიოდისათვის, რომელიც დასრულდება 2005 წლის 31 იანვარს, ამასთან, მისი მანდატი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება შეცვლილ იქნეს საბჭოს მიერ დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში ცვლილებებისშემთხვევაში;

29. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ წარმოადგინოს მოხსენება ვითარების შესახებ აფხაზეთში, საქართველო;

30. ადგენს გაგრძელდეს ამ საკითხზე აქტიური მუშაობა.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)